

შპს მაქს იმპორტი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9
1. ძირითადი საქმიანობა.....	9
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	9
3. ფული და ფულის ექვივალენტები	13
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	15
6. ძირითადი საშუალებები	16
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
8. საგადასახადო ვალდებულებები	17
9. მიღებული სესხები	18
10. შემოსავალი.....	18
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	18
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18
13. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	18
14. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა	19
15. ფინანსური ხარჯი- წმინდა	19
16. იჯარა	19
17. კაპიტალი	19
18. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19

შპს მაქს იმპორტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	1,064,962	585,488	499,434
საინვესტიციო ქონება		-	-	-
		1,064,962	585,488	499,434
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	2,741,626	168,382	549,688
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	1,723,311	1,994,620	816,710
მარაგები	5	543,787	952,930	637,738
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	1,870	23
		5,008,725	3,117,801	2,004,159
მთლიანი აქტივები		6,073,686	3,703,289	2,503,593
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,482,818	2,493,430	931,193
გადაფასების რეზერვი		-	-	-
		4,482,818	2,493,430	931,193
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	-
		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	9	137,586	-	480,000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	1,420,766	1,022,466	936,935
საგადასახადო ვალდებულებები	8	32,518	187,393	117,871

გადასახდელი პროცენტი	-	-	37,595
გადასახდელი დივიდენდი	-	-	-
	<u>1,590,869</u>	<u>1,209,859</u>	<u>1,572,400</u>
მთლიანი ვალდებულებები	1,590,869	1,209,859	1,572,400
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	6,073,687	3,703,289	2,503,593

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით
დირექტორი დავით ზურაბიშვილი *დ. ზურაბიშვილი*

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2020 წელი

შპს მაქს იმპორტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018
ამონაგები	10	17,570,870	13,942,554
თვითღირებულება	11	(14,142,782)	(11,253,728)
საერთო მოგება		3,428,088	2,688,826
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(611,777)	(302,683)
მიწოდების დანახარჯები	13	(794,167)	(728,883)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	11,108	(7,019)
სხვა ხარჯები		-	-
საოპერაციო მოგება		2,033,252	1,650,240
ფინანსური შემოსავალი		111,269	36,938
ფინანსური ხარჯი		(20,442)	(14,415)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		90,827	22,523
მოგება დაბეგვრამდე		2,124,079	1,672,764
მოგების გადასახადი		(29,428)	(5,263)
წმინდა მოგება		2,094,651	1,667,501
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		2,094,651	1,667,501

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ზურაბიშვილი *დ. ზურაბიშვილი*

თბილისი, საქართველო

1 აპრილი 2020 წელი

შპს მაქს იმპორტი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	-	-	931,193	931,193
წმინდა მოგება	-	-	1,667,501	1,667,501
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,667,501	1,667,501
გაცემული დივიდენდი	-	-	(105,263)	(105,263)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	2,493,430	2,493,430
წმინდა მოგება	-	-	2,094,651	2,094,651
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,094,651	2,094,651
გაცემული დივიდენდი	-	-	(105,263)	(105,263)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	4,482,818	4,482,818

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ზურაბიშვილი *დ. ზურაბიშვილი*

თბილისი, საქართველო

1 აპრილი 2020 წელი

შპს მაქს იმპორტი

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	31/12/2019	31/12/2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	2,094,651	1,667,501
<i>კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:</i>	6,180	47,627
- გადასახადები	29,428	5,263
- ცვეთა	78,687	57,869
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(11,108)	7,019
- წმინდა ფინანსური ხარჯი	(90,827)	(22,523)
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	951,603	(1,347,243)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	271,308	(1,178,411)
- მარაგები	409,143	(315,192)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	406,380	76,838
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(154,875)	69,522
- გადავადებული შემოსავალი	-	-
- ანარიცხები	-	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	3,032,786	367,885
- მიღებული პროცენტი	113,139	35,091
- გადახდილი პროცენტები	(20,442)	(52,009)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(29,428)	(5,263)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,096,055	345,704
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		

- ძირითადი საშუალებების შეძენა	(558,161)	(143,923)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
- მიღებული დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(558,161)	(143,923)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა	250,000	
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(112,414)	(480,000)
- გადახდილი დივიდენდები	(105,263)	(105,263)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	32,322	(585,263)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	2,570,217	(383,482)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	168,382	549,688
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	3,028	2,176
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	2,741,626	168,382

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ზურაბიშვილი *დ. ზ. ზურაბიშვილი*

თბილისი, საქართველო

1 აპრილი 2020 წელი

შპს მაქს იმპორტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

მაქს იმპორტი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 30 აგვისტოს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019 წელი	2018 წელი
დავით ზურაბიშვილი	100%	100%

კომპანიის საქმიანობაა ცემენტის წარმოება და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2017, 2018 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებებს. 2018 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2018 და 2019 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2019 წლის 31 დეკემბრის ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2018 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიამ 2019 წელს გამოიმუშავა 2 094 650 ლარი წმინდა მოგება (2018 წელს 1 667 501 ლარი). 2019 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ჯამური აქტივები, მათ შორის მოკლევადიანი აქტივები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის ვალდებულებებს, როგორც ჯამურს ასევე მიმდინარეს. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიის ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოიცა და დამტკიცდა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-7 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (განგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი შეადგენს კომპანიის მიერ შეძენილ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშალო შეწონილის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვებში აღრიცხვას, კერძოდ 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100 % - ით დარეზერვებას.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როცა იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტიურად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	2019	2018
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	2,599,384	144,488
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	142,242	23,894
სულ	2,741,626	168,382

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	888,973	854,655
გადახდილი ავანსები	81,339	464,339
მოთხოვნა სასესხო ვალდებულებიდან	753,000	623,000
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე		52,627
სხვა მოთხოვნები		
სულ	1,723,311	1,994,620

მოთხოვნა სასესხო ვალდებულებიდან მოიცავს არადაკავშირებულ კომპანიაზე გაცემულ მოკლევადიან სესხს განაკვეთით 11,3 %.

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2019	2018
ნედლეული და მასალები	476,477	814,818
დაუმთავრებელი წარმოება	67,311	138,112
მზა პროდუქცია		-
სულ	543,787	952,930

6. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2018	-	-	391,593	4,533	271,786	667,912.38
შემოსვლა	-	-	278,420	3,544	276,197	558,161
გადაფასება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	-	670,013	8,077	547,983	1,226,073
ცვლილება და გაუფასურება						-
31 დეკემბერი 2018	-	-	58,746	581	23,098	82,424
პერიოდის ცვლილება	-	-	44,230	1,245	33,212	78,687
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	-	102,976	1,826	56,309	161,111
წმინდა საბალანსო ღირებულება						-
31 დეკემბერი 2018	-	-	332,847	3,953	248,688	585,488
31 დეკემბერი 2019	-	-	567,037	6,251	491,674	1,064,962

კომპანია აღრიცხავს ძირითად საშუალებებს თვითღირებულებით. ცვლილების მეთოდი წრფივი

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	(1,417,205)	(1,022,178)
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 21)	-	-
მიღებული ავანსები	(3,560)	(288)
სულ	(1,440,413)	(1,022,466)

8. საგადასახადო ვალდებულებები

	2019	2018
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება	(9,288)	
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა საშემოსავლო გადასახადები	438	(353)
დღგ	(59,590)	(183,813)
ქონების გადასახადი	(2,828)	(2,927)
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში	51,507	
სხვა	(68)	
საბაჟო გადასახადები	(12,689)	(300)
სულ	(32,518)	(187,393)

9. მიღებული სესხები

სხვა სესხი არასაბანკო - აღებულია 12 %-იანი განაკვეთით.

10. შემოსავალი

	2019	2018
საქონლის გაყიდვა *	(17,559,249)	(13,942,554)
მომსახურების გაწევა	(11,620)	
სულ	(17,570,870)	(13,942,554)

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს, აგრეთვე თანამშრომელთა შრომის პირდაპირ დანახარჯებს, საწვავს, ელექტრო ენერგიას .

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ხელფასებს, ძირითადი საშუალებების ცვეთას, სხვა საგადასახადო ხარჯებს და სხვა ადმინისტრაციულ დანახარჯებს.

13. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯების 75 % უკავშირდება დანახარჯებს საწვავზე და შრომის ანაზღაურებას.

14. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა

სხვა შემოსულობა/ზარალი უკავშირდება მხოლოდ საკურსო და კონვერტაციის სხვაობებს.

15. ფინანსური ხარჯი- წმინდა

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი უკავშირდება გაცემული და მიღებული სესხების პროცენტებს.

16. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული მიწა და ფართი ოფისისათვის, აგრეთვე რიგი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული იჯარები კლასიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი იჯარა და იჯარის ფარგლებში გადახდილი გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

17. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან.

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას